B ჰეპატიტი

რა უნდა იცოდეთ ქრონიკული B ჰეპატიტის დიაგნოზის დროს

რა არის B ჰეპატიტი?

B ჰეპატიტი არის ვირუსი, რომელიც აზიანებს ღვიძლს და როომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დაავადებები. დაინფიცირებიდან სიმპტომების გამოვლენის პერიოდი შესალოა იყოს ექვსი კვირიდან ექვს თვემდე. დაავადების ამ სტადიას მწვავე B ჰეპატიტი ეწოდება. ზოგიერთ ადამიანს მწვავე B ჰეპატიტით არ აქვს სიმპტომები. B ჰეპატიტს ახასიათებს შემდეგი სიმპტომები: ცხელება, გულისრევა, დაღლილობა, ტკივილი, სიყვითლე (კანისა და თვალების სიყვითლე) და მუქი ფერის შარდი.

მწვავე B ჰეპატიტის მქონე ადამიანების უმეტესობა შეიძლება სრულად გამოჯანმრთელდეს, თუმცა გამოჯანმრთელებას შეიძლება ექვსი ან მეტი თვე დასჭირდეს.

ზოგიერთი ადამიანი თავს არ გრძნობს ცუდად, მაგრამ შეიძლება იყოს სისხლში ვირუსის მატარებელი. ამას ეწოდება ქრონიკული B ჰეპატიტი. ადამიანების მცირე რაოდენობა სერიოზულად ავადდება და შესაძლოა განუვითარდეს ღვიძლის უკმარისობა ან ღვიძლის ხანგრძლივი პრობლემები.

რა არის ქრონიკული B ჰეპატიტი?

ზოგიერთი ადამიანი ვერასოდეს იმკურნება ვირუსისგან. თქვენ შეიძლება იყოთ ინფიცირებული მთელი ცხოვრების მანძლზე და შეიძლება B ჰეპატიტით დაიინფიციროთ სხვა ადამიანები. ამას უწოდებენ B ჰეპატიტის ქრონიკულ ინფექციას.

შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე თავი ჯანმრთელად იგრძნოთ და არ იქონიოთ ღვიძლის დაზიანების სიმპტომები. ზოგიერთ ადამიანს უვითარდება ღვიძლის უფრო მძიმე დაავადება, როგორიცაა ღვიძლის ნაწიბურები (ციროზი), ღვიძლის უკმარისობა ან კიბო. თუ გაქვთ B ჰეპატიტი, მაინც შეიძლება დაინფიცირდეთ სხვა ტიპის ჰეპატიტით, როგორიცაა A ან C ჰეპატიტი.

არსებობს თუ არა B ჰეპატიტის მკურნალობა?

ექიმმა უნდა გადაგამისამართოთ სპეციალისტთან, რომელსაც შეუძლია შეამოწმოს ღვიძლის დაავადება და დაადგინოს, დაგეხმარებათ თუ არა მედიკამენტები.

როგორ ვიზრუნო ჩემს ღვიძლზე?

მნიშვნელოვანია, რომ იზრუნოთ საკუთარ თავზე.

- არ დალიოთ ალკოჰოლი. ალკოჰოლმა შეიძლება დააზიანოს თქვენი ღვიძლი.
- თუ გაქვთ B ჰეპატიტის ქრონიკული ინფექცია, ექიმმა უნდა გადაგამისამართოთ სპეციალისტთან, რომელსაც შეუძლია შეამოწმოს ღვიძლის დაავადება და დაადგინოს, დაგეხმარებათ თუ არა მედიკამენტები.

- რეგულარულად ეწვიეთ ექიმს.
- ახალი მედიკამენტების, ურეცეპტოდ გაცემული მედიკამენტების და მცენარეული საშუალებების მიღებამდე მიმართეთ ექიმს.
- ჩაიტარეთ შემოწმება C ჰეპატიტზე.
- გაიკეთეთ A ჰეპატიტის ვაქცინა, თუ ჯერ არ გაქვთ იმუნიტეტი.
- ჩაიტარეთ გრიპის ყოველწლიური ვაქცინა.

როგორ დავინფიცირდი B ჰეპატიტით?

B ჰეპატიტი ვრცელდება ინფიცირებული ადამიანის სისხლთან ან ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტით. B ჰეპატიტით შეიძლება დაავადდეთ, თუ:

- გაქვთ სქესობრივი კავშირი B ჰეპატიტის მატარებელთან.
- წამლების ინექციური გამოყენებისას იზიარებთ ნემსებს ან სხვა აღჭურვილობას.
- გამოიყენეთ არასტერილიზებული ნემსები სხეულის პირსინგის, ტატუირების, აკუპუნქტურის, ელექტროლიზისთვის ან თუ გაგიკეთეს ინექცია გამოყენებული ნემსით.
- იზიარებთ საპარსებს, კბილის ჯაგრისებს, დასაბან ღრუბელს, პირსახოცებს, ფრჩხილის მაკრატელს ან სხვა აქსესუარებს, რაზეც შეიძლება იყოს სისხლის კვალი ან ბიოლოგიური სითხეები.
- შეხება გაქვთ ინფიცირებული პირის სისხლდენიან წყლულებთან ან ჭრილობებთან.
- ხართ ჯანდაცვის თანამშრომელი ან სხვა პირი, რომელსაც შეხება აქვს დაინფიცირებულ სისხლთან ან ბიოლოგიურ სითხეებთან.
- ხართ B ჰეპატიტის ქრონიკული ინფექციის მქონე პირის შვილი.

ზოგიერთ შემთხვევაში, ინფექციის ზუსტი წყარო არასოდეს არის იდენტიფიცირებული.

შემიძლია დავაინფიცირო B ჰეპატიტით სხვები?

თქვენ შეიძლება გადასდოთ B ჰეპატიტი ადამიანებს თუ მათ აქვთ შეხება თქვენს სისხლთან, სპერმასთან ან ვაგინალურ სითხეებთან. ვირუსი ზოგჯერ შეიძლება გავრცელდეს ადამიანის ნაკბენით. ვირუსს შეუძლია იყოს აქტიური სხეულის გარეთ ერთ კვირამდე პერიოდის განმავლობაში.

თქვენმა კონტაქტებმა, როგორიცაა თქვენი პარტნიორი, ოჯახი ან ნებისმიერი ადამიანი, ვინც თქვენთან ერთად ცხოვრობს, უნდა ჩაიტარონ სისხლის შემოწმება, რათა შეამოწმონ აქვთ თუ არა B ჰეპატიტი.

არის თუ არა B ჰეპატიტის ვაქცინა უსაფრთხო?

B ჰეპატიტის ვაქცინა უსაფრთხო და ეფექტურია. თქვენს პარტნიორს, ოჯახს და ნებისმიერ ადამიანს, ვინც თქვენთან ერთად ცხოვრობს, შეუძლია დაიცვას თავი ვაქცინაციით.

ვაქცინას როგორც წესი ატარებს თქვენი ოჯახის ექიმი სამ დოზად - პირველი ვიზიტისას, ერთი თვის შემდეგ და პირველი ინექციიდან ექვსი თვის შემდეგ. ხანდახან დოზები უფრო სწრაფად ინიშნება.

ზოგიერთ ადამიანს შეიძლება დასჭირდეს ვაქცინის დამატებითი დოზები უსაფრთხოებისთვის. ადამიანების ძალიან მცირე რაოდენობა არ რეაგირებს ვაქცინაზე და შესაბამისად არ არის დაცული.

როგორ დავიცვა სხვები B ჰეპატიტის ინფექციისგან?

რა უნდა გააკეთოთ სხვების დასაცავად:

- შეიხვიეთ ნებისმიერი ღია ჭრილობა და პატარა ჭრილობა წებოვანი ლენტით ან ბინტით.
- კარგად დაიბანეთ ხელები სისხლთან ან ბიოლოგიურ სითხეებთან შეხების შემდეგ.
- სისხლით ან ბიოლოგიური სითხეებით დაბინძურებული ნაჭრები (და სხვა პროდუქტები) ნაგვის ყუთში ჩაგდებამდე მოათავსეთ რაიმე პარკში.
- გაასუფთავეთ სისხლით დასვრილი ადგილი. შემდეგ, ხელახლა გაასუფთავეთ ადგილი ქლორის ხსნარით (ერთი წილი ქლორი 10 წილი წყალი).
- არ გაუზიაროთ კბილის ჯაგრისები, საპარსები, ნემსები, ფრჩხილის მაკრატელი ან სხვა აქსესუარები, დასაბანი ღრუბელი ან პირსახოცები.
- თუ მოიხმართ ინექციურ ნარკოტიკებს, შეწყვიტეთ მათი მოხმარება ან ჩაერთეთ სარეაბილიტაციო პროგრამაში. არასოდეს გაიზიაროთ წამლები, ნემსები, შპრიცები, ბამბა, წყალი ან სარეცხი საშუალებები.
- არ გაიღოთ სისხლი, პლაზმა, ორგანოები, ქსოვილები ან სპერმა.
- თქვენი სექს-პარტნიორი თქვენგან B ჰეპატიტის დაინფიცირების რისკის ქვეშაა. აუცილებლად უთხარით თქვენს სექს-პარტნიორ(ებ)ს, რომ გაქვთ B ჰეპატიტი. მათ უნდა მიმართონ ექიმს სისხლის ანალიზისთვის, რათა დადგინდეს არიან თუ არა ინფიცირებულები. თუ ისინი არ არიან ინფიცირებულები, უნდა ჩატარდეს ვაქცინაცია. გამოიყენეთ პრეზერვატივი, რათა თქვენი პარტნიორი იყოს დაცული.
- თქვენს სახლში მცხოვრები სხვა ადამიანები რისკის ქვეშ არიან. უთხარით ყველას, ვინც თქვენთან ერთად ცხოვრობს, რომ მათ უნდა მიმართონ ექიმს სისხლის ანალიზისა და ვაქცინაციისთვის.

- თუ თქვენ განგივითარდათ B ჰეპატიტის ქრონიკული ინფექცია, უთხარით ახალ სექს- პარტნიორს და თქვენთან მცხოვრებ ახალ ადამიანებს, რომ მათ უნდა გაიარონ შემოწმება და ვაქცინაცია.
- თუ ორსულად ხართ, ახალშობილს უნდა ჩაუტარდეს ვაქცინაცია და გაუკეთდეს B ჰეპატიტის იმუნოგლობულინი (HBIG) დაბადებიდან მოკლე პერიოდში.
- თუ ვინმეს ქონდა შეხება თქვენს სისხლთან, ის შეიძლება დაცული იყოს B ჰეპატიტისგან, თუ სწრაფად დაიწყებს მკურნალობას. მათ უნდა მიმართონ ექიმს ან გადაუდებელი დახმარების განყოფილებას და განაცხადონ, რომ ჰქონდათ კონტაქტი B ჰეპატიტით დაინფიცირებულთან. იმათ გაუკეთდებათ B ჰეპატიტის იმუნოგლობულინის (HBIG) ინექციას და დაიწყებენ B ჰეპატიტის ვაქცინის კურსს.
- უთხარით თქვენს ექიმს და სტომატოლოგს, რომ გაქვთ B ჰეპატიტი.

როგორ დავიცვა ჩემი ბავშვი B ჰეპატიტისგან, თუ ორსულად ვარ?

თუ დაორსულდებით, თქვენს პატარას შეიძლება გადაედოს B ჰეპატიტი თქვენგან დაბადებიდან ან დაბადებიდან მოკლე პერიოდში. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია:

- თქვენს ბავშვს უნდა გაუკეთდეს B ჰეპატიტის იმუნოგლობულინის (HBIG) ინექცია და B ჰეპატიტის ვაქცინის პირველი დოზა დაბადებიდან მალევე.
- დარწმუნდით, რომ თქვენს ბავშვს B ჰეპატიტის ვაქცინის კურსი სწორ დროს გაუკეთდება. სისხლის ტესტი უნდა ჩატარდეს B ჰეპატიტის ვაქცინის კურსის დასრულების შემდეგ, რათა დარწმუნდეთ, რომ ის უსაფრთხოდ არის.

B ჰეპატიტის გავრცელება შეუძლებელია:

- ცემინებით ან ხველით
- კოცნით ან ჩახუტებით
- ძუძუთი კვებით
- საკვებით ან წყლით
- ჭურჭლის ან ჭიქების გაზიარებით
- შემთხვევითი კონტაქტით (როგორიცაა სამსახურში)

გახსოვდეთ:

ურჩიეთ თქვენს კონტაქტებს, რომ მათ უნდა ჩაიტარონ ვაქცინაცია.

გამოიყენეთ პრეზერვატივი სექსის დროს, რათა დაიცვათ თქვენი პარტნიორი და საკუთარი თავი.

როგორ შემიძლია გავიგო მეტი?

B ჰეპატიტის შესახებ სასარგებლო ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი წყაროებიდან:

- თქვენი ოჯახის ექიმისგან
- HSE-ს ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტისგან

B ჰეპატიტის შესახებ სხვა ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ შემდეგ ვებსაიტებზე:

- www.hpsc.ie
- www.cdc.gov/hepatitis/hbv
- www.who.int
- www.immunisation.ie

გამოცემის თარიღი: 2017 წლის აპრილი

ავტორები: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მედიცინის გადამდები დაავადებათა ჯგუფის ჰეპატიტის სამუშაო ჯგუფი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის დაცვის ზედამხედველობის ცენტრის დეპარტამენტები, ჯანდაცვის სამსახურის აღმასრულებელი.